

## სტუდენტის სტატუსის შეჩერება

.სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

- ა) პირადი განცხადება (აკადემიურ შვებულებაში გასვლა);
- ბ) ავადმყოფობა;
- გ) უცხო ქვეყანაში სასწავლებლად წასვლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;
- დ) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელიობა;
- ე) აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები.

„ა“ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის (სემესტრის) დაწყებიდან არა უგვიანეს 45 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტუდენტის სტატუსის შეჩერების და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების ძალადაკარგულად ცნობისა და სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემა ხდება იმ გარემოებათა აღმოფხვრის შედეგად, რაც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემას, მაგრამ არაუგვიანეს სემესტრის დაწყებიდან 45 დღისა (**დანართი 3**).